სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 7 (366) სექტემბერი, 2023 წელი

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

ვულოცავ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს ყველას – თსსუ-ის სტუდენტებს, რეზიდენტებს, აკადემიური პერსონალსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, მკვლევარებს, კურსდამთავრებულებს და თსსუ-ის უცხოელ მეგობრებს! თითოეული მათგანის შრომა უმნიშვნელოვანესია ჩვენი უნივერსიტეტისთვის. მათი ღვაწლითა და პროფესიული საქმიანობით, სწავლით, სამეცნიერო მუშაობით, ჯანგარო დახმარებით იქმნება და ყალიბდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხვალინდელი დღე – უნივერსიტეტისა, რომელიც ნებისმიერი ჩვენგანის პროფესიული წარმატების საძირკველია!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ ყველას: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, საუნივერსიტეტო კლინიკების თანამშრომლებს, მეცნიერებს, ადმინისტრაციას, განსაკუთრებით კი – პირველსემესტრელებს – თქვენ, ვინც მოიპოვეთ სერიოზული წარმატება, მიაღწიეთ მიზანს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდით!

არაერთხელ შემიდარებია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ოჯახისთვის. ეს უტრირებული წარმოდგენა არ გახლავთ: თსსუ-ის წიაღში სათავეს იღებს და ვითარდება არა მარტო პროფესიული გზა, არამედ დახვეწილი, ღირებული ურთიერთობები, როგორც პროფესიული ნიშნით, ისე, უბრალოდ, ადამიანებს შორისაც... ეს ურთიერთობები გრძელდება მას მერეც, რაც სტუდენტური ცხოვრება მთავრდება... მოგეხსენებათ, ბევრი კურსდამთავრებული ევროპაში მუშაობს, ბევრი – ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში... მაგრამ ყველას აერთიანებს ერთი რამ – Alma-Mater-ის სიყვარული და მასზე ზრუნვა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველასთვის „ოჯახს“ წარმოადგენს – საკრალურ ღირებულებას, რომლის დავიწყება წარმოუდგენელია და რომელზე ზრუნვაც ისეთივე ბუნებრივია, როგორც საკუთარ ოჯახზე ზრუნვა და ფიქრი.

ახლა თქვენ ამ დიდი ოჯახის წევრები გახდით, რომელსაც თაობები დიდი რუდუნებით და პასუხისმგებლობით უვლიდნენ, ინახავდნენ, აშენებდნენ!

ტრადიციად იქცა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მაღალრეიტინგული და გამორჩეული ახალგაზრდების არჩევანია.

ასევე, ვცდილობთ, გამორჩეული იყოს ყველა, ვინც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აირჩია სწავლებისა და მუშაობისთვის და, შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმაც აირჩია ყოველი თქვენგანი.

იცით, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, საქართველოს მოქალაქეების გარდა, მიმზიდველია დღეს უკვე მსოფლიოს 81 ქვეყნის 3400-ზე მეტი ახალგაზრდისთვის. ესეც დასტურია იმისა, თუ როგორ ვვითარდებით.

ტრადიციულად, სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, მისალოც სიტყვაში, ყოველთვის ვსაუბრობ იმ წარმატებებზე, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აღწევს წლიდან წლამდე. ვფიქრობ, რომ ეს ერთგვარი მოტივატორი უნდა გახდეს შრომისა და სწავლისთვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა შეძლო ის, რაზეც ათეული წლების წინ ვერც კი ვიფიქრებდით. იმედია, ათეული წლები არ დასჭირდება მომავალში ისეთ ცვლილებებს, რომლებიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აქცევს საერთაშორისო მასშტაბით. ამისკენ უნდა ვიაროთ.

შემთხვევითი არ არის არცერთი წარმატებული ნაბიჯი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის. მცირე ჩამონათვალს შემოგთავაზებთ:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. თქვენ იცით, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMC - Educational Commision For Foreign Medical Graduates) ერთობლივი გადაწყვეტილებით, მომავალი – 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

დიდი აღიარებაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაფუძნებულია ჯანდაცვის სპეციალისტთა განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ჩვენი ქვეყნის წარმატებაცაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა. ეს არაერთხელ იქნება თქვენი პროფესიონალიზმის მასაზრდოებელი, არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

ამრიგად, დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე, სადაც თქვენ სწავლობთ, ხორციელდება მხოლოდ უმაღლესი შეფასების მქონე, აკრედიტებული ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

თქვენ ხართ სტუდენტები და თანამშრომლები საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებისა, რომელმაც IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 - ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი უმაღლეს სასწავლებლებს შორის პირველმა მიიღო. ეს დასტურია იმისა, რომ თსსუ-ის საქმიანობა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს საერთაშორისო, მაღალი სტანდარტების საგანმანათლებლო სივრცეში. ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით მიმდინარეობს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს.

თსსუ-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა, რომელიც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

თქვენი Alma Mater-ი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციობაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მძლავრი კლინიკური ბაზები (3 ჰოსპიტალი და სტომატოლოგიური კლინიკები), სადაც თქვენ არაერთ კლინიკურ დისციპლინას შეისწავლით, მუდმივად ზრუნავს სტუდენტებზე. ბევრი უფროსსემესტრელი უკვე მუშაობს კიდეც ამ და საქართველოს სხვა კლინიკებში. ჩვენ თვალს ვადევნებთ თქვენს წინსვლას პროფესიურ სივრცეში და გვეიმედება, რომ ყოველი მომდევნო დღე კიდევ უფრო წარმატებული იქნება ჩვენი სტუდენტებისთვის, თანამშრომლებისა და კურსდამთავრებულებისთვის. აქვე დავძენ, რომ მალე თსსუ-ის კლინიკათა რიცხვი კიდევ გაიზრდება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, გააფორმა ხელშეკრულება ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის კლინიკის შესყიდვის მიზნით, ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტების საკუთარ ბაზაზე განსათავსებლად, რაც დიდი მნიშვნელობის ფაქტი იქნება სწავლებისა და სწავლის სრულყოფის, და ზოგადად – ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სფეროს გაძლიერების თვალსაზრისით.

აქვე გეტყვით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ინტენსიურად მიმდინარეობს. თქვენ ამავე გაზეთში გაეცნობით დაწვრილებით ჩამონათვალს, თუ რა გაკეთდა ამ თვალსაზრისით, ამიტომ მე ამ თემაზე აღარ შევჩერდები. მხოლოდ ერთ ფაქტს გამოვყოფ: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის შესყიდვასთან დაკავშირებით; ეს პრობლემა გადაიჭრება, რაც, მერწმუნეთ, კიდევ უფრო მკვეთრად შეცვლის უკეთესობისკენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფუნქციობასა და მომავალს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ეროვნული და WFME (სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის) სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ტრადიციულად გამორჩეული ცენტრია როგორც საქართველოში, ისე – საერთაშორისო არენაზე; ამიტომ ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა სწავლის ხარისხის მუდმივი სრულყოფა და უნივერსიტეტის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნება.

ყველა იმ წარმატებულ ნაბიჯთან ერთად, რომელზეც გესაუბრეთ, ჩვენი წარმატებულობის და მაღალი კვალიფიკაციის დასტური თითოეული თქვენგანი უნდა გახდეს.

ჩვენს უნივერსიტეტში წლებია ფუნქციობს ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები: დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორია მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMan (საფრანგეთი). პროგრამის დასრულების შემდეგ ორი (ქართული და ფრანგული) დიპლომი გაიცემა; ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთ ავსტრიის საგანმანათლებლო ცენტრის AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეუფლონ პროფესიას, სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრია, ეს ადასტურებს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციობაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი, ყველა ქართველი ექიმის (განსაკუთრებით მათი, ვინც 20 წელზე მეტია, რაც ექიმია) Alma Mater-ი, გამორჩეული სიყვარულის, პატივისცემის და პასუხისმგებლობის ობიექტია. თსსუ-ის ირგვლივ გაერთიანებულია უამრავი კურსდამთავრებული, რომლებიც ზრუნავენ სტუდენტებზე, სახელობით სტიპენდიებს ნიშნავენ, სტაჟირებას გვთავაზობენ.

დრო ცვლის სტატუსს – სტუდენტი კურსდამთავრებული ხდება; კურსდამთავრებული – რეზიდენტი ან მაგისტრი; ექიმი, თავისი საქმის პროფესიონალი, შემდეგ – დოქტორანტი, აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი... ჩნდება ბიოგრაფიული შტრიხები სხვადასხვა გეოგრაფიული გადაადგილებისა და თანამდებობრივი წინსვლის ფაქტებით. მაგრამ, ცხოვრებამ აჩვენა, რომ რაც არ უნდა შორს მიდიოდეს კურსდამთავრებულის შემდგომი კარიერული სვლა (გნებავთ, ქვეყნების გათვალისწინებით და გნებავთ, უბრალოდ, კარიერულ აღმასვლაზე დაყრდნობით), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველასთვის უპირობო მშობლიურ ღირებულებას წარმოადგენს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნება თქვენს პროფესიულ ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ათვლის სათავე. მჯერა, თქვენც, ისევე როგორც მე, სიამაყით იტყვით ყველგან – მე თსსუ-ელი ვარ! სხვაგვარად წარმოდგენა არ შემიძლია.

არსებობს ასეთი აზრიც: დრო ყველაფერს გადააფასებს და თავად ქმნის და შლის ავტორიტეტებსაც და ბარიერებსაც... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველი თქვენგანისთვის ისეთი ავტორიტეტი უნდა გახდეს, რომელსაც ვერასდროს ვერაფერი შებღალავს და კიდევ, ჩვენთვის, უნივერსიტეტელებისთვის, არ არსებობს ბარიერი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გვაერთანებს!

დავასრულებ იმავე განწყობით, როგორითაც დავიწყე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრებო, გილოცავთ კიდევ ერთი სასწავლო წლის დაწყებას! წინ დიდი გამოწვევები და საინტერესო სასწავლო და სამუშაო პროცესი გელოდებათ! წარმატებებს გისურვებთ!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

თვითმმართველობა თითოეული თქვენგანის გვერდით

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! განსაკუთრებულად მინდა მივულოცო პირველსემესტრელებს, რომელთა ცხოვრებაშიც ახალი, საუკეთესო ეტაპი დაიწყო. მოხარული ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აირჩიეთ. გილოცავთ და გარწმუნებთ, რომ ეს წლები იქნება ყველაზე თბილი და მოგონებებით სავსე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შრომისმოყვარე, მიზანდასახული სტუდენტებით სავსე გარემოა, სადაც, ქართველ სტუდენტებთან ერთად, დაუმეგობრდებით და პროფესიულ კავშირებს დაამყარებთ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებთან, შეიძენთ ყველაზე ღირებულ კონტაქტებს, რაც იქნება გარანტი თქვენი პროფესიული, კარიერული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების უპირობო წარმატებისა.

ჩვენი გუნდის მიზანია, მაქსიმალურად მრავალფეროვანი გახადოს სტუდენტების ცხოვრება და დაეხმაროს განივითარონ, როგორც პროფესიული, ასევე, სოციალური და სხვადასხვა უნარები.

სწორედ ამ მიზნით, სტუდენტური თვითმმართველობა მრავალფეროვან პროექტებს შემოგთავაზებთ. აღსანიშნავია, რომ პროექტები ტარდება სტუდენტების სურვილისამებრ, თუმცა, ამასთანავე, საშუალება გეძლევათ, თავად განახორციელოთ თქვენ მიერ მოფიქრებული პროექტები.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქველმოქმედო ფონდებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტის თვითმმართველობასთან და მათთან ერთად ვახორციელებთ ყველაზე მასშტაბურ პროექტებს, რომლებიც თქვენს სტუდენტურ წლებს შთამბეჭდავსა და დაუვიწყარს ხდის.

გისურვებთ ღირსეულად გეტარებინოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი!

ლადო გაგეჩავა,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

ძვირფასო პირველსემესტრელებო!

გილოცავთ იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც მოიპოვეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. თქვენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდით, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა!

თქვენ მედიცინა აირჩიეთ ცხოვრების მთავარ მიზნად. ეს არჩევანი იმდენად სერიოზულია, რომ თქვენს ცხოვრებას სრულად შეცვლის. თქვენ ურთულესი და ძალიან შრომატევადი გზა უნდა გაიაროთ. ამ გზის დასაწყისში, ექვს წელს გაატარებთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში – სამედიცინო განათლების ასწლოვანი ისტორიის მქონე კერაში. დიდი ტრადიციებით გამორჩეული სამედიცინო სკოლა მიმზიდველია, არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისთვისაც. აქ თქვენ დაგხვდათ ძლიერი და მოტივირებული გუნდი, რომელიც მზადაა ყველაფერი გააკეთოს თქვენი პროფესიული სრულყოფისთვის; ასევე, – მატერიალური ბაზა, რომელიც საშუალებას მოგცემთ ღირსეულ გარემოში გაატაროთ სტუდენტური წლები.

გახდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი, ნიშნავს, რომ თქვენ გამორჩეული ხართ; მიზანსწრაფვა, შრომის სურვილი და უნარი, გონიერება და ნიჭი – ეს ყველაფერი გაქვთ და ახლა საჭიროა სურვილი და თავდადება, რათა თქვენი ყველა უნარი გამოიყენოთ მიზნის ასასრულებლად. რაც უფრო რთული იქნება თქვენს წინაშე დასახული ამოცანა, მით მეტად დაგჭირდებათ მობილიზება და იმ საქმის სიყვარული, რომელიც მთელი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სწორედ პროფესიის უპირობო სიყვარულია ის ქვაკუთხედი, რომელზეც შეიძლება ააგოთ წარმატებული მომავალი, რომლითაც შეიძლება ენით აუწერელი სირთულეებიც გადალახოთ.

დღეს იწყებთ ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელიც ნამდვილად არ იქნება მარტივი. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში უნდა მოახდინოთ საკუთარი თავის რეალიზება, მაქსიმალურად გამოიყენოთ არსებული რესურსები, გახდეთ შემოქმედნი, მოემზადოთ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისთვის და გაუმკლავდეთ გამოწვევებს, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია, არამედ მთელ მსოფლიოს აერთიანებს ერთი მიზნის ირგვლივ – ადამიანი უფრო ჯანმრთელი იყოს, მისი ცხოვრების ხარისხი კი – უფრო მაღალი. მედიცინა ითხოვს სრულ თავგანწირვას განათლების მიღების პროცესში, რომ ის შედეგი მიიღოთ, რისკენაც ისწრაფვით!

ისწავლო მედიცინის ფაკულტეტზე – ეს უკვე პრივილეგირებული პოზიციაა, რაც, ასევე, ნიშნავს, ყოველდღიურად იყო ჩაბმული სწავლის მარათონში, რათა ჩამოყალიბდეთ მომზადებულ, კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან ექიმად და მკვლევრად, პიროვნებად, რომელიც ყველაფერს გააკეთებს პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად, მუდმივად იზრუნებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გვაქვს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამები. სწავლება ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც 2021 წელს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უმაღლესი დონის აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თქვენ საშუალება გექნებათ, გაიაროთ სტაჟირება ჩვენი უნივერსიტეტისა და მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო სკოლების კლინიკებში. წინ ძალიან საინტერესო ცხოვრება გელით!

დღეიდან, ჩვენ ყველა, ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ და თქვენ, სადაც არ უნდა იყოთ, წარადგენთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. ეს ერთგვარი დამღაა, რომელიც სიამაყით უნდა ატაროთ და არასდროს დაუშვათ მისი შებღალვა.

მჯერა, რომ თქვენ, ახალგაზრდული შემართებით და რომანტიზმით, გულწრფელად გამოძრავებთ სურვილი, ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობის თანამედროვე მიდგომებით, გააუმჯობესოთ ადამიანთა ცხოვრება. ამ კეთილშობილ მიზანს აქვს მეორე მხარე – რუტინული შრომა. მოგიწოდებთ, გამოიყენოთ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც ამ მიზნის მისაღწევად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გაძლევთ, ნუ დაზოგავთ დროსა და ენერგიას მიზნის მისაღწევად.

სულ რამდენიმე წლის წინ მსოფლიო შეძრა ახალმა პანდემიამ. მედიკოსები გაერთიანდნენ ერთი მიზნისთვის და უმძიმესი წლების გადატანა შეძლეს. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი მომზადება სჭირდება მედიკოსს, რომ იდგეს ქვეყნის და ხალხის სამსახურში. ჯანდაცვის სფეროში ახლაც ვხვდებით და მომავალშიც შევხვდებით გამოწვევებს, რაც მოითხოვს ახალ იდეებს, ინტერდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტის უნარს. ცნობილია, რომ ახალი დრო ახალ რეალობებს გვთავაზობს და ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ მათ პროფესიონალიზმით.

მჯერა, თქვენი კეთილშობილი მიზნების! მჯერა, რომ შეუერთდებით მსოფლიო ექიმების იმ დიდ არმიას, რომლებიც წარმატებით დგანან ადამიანთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში – დღეიდან თქვენს Alma-Mater-ში, რომელიც თქვენი ბიოგრაფიების განუყოფელი ნაწილი გახდება.

გამარჯვებებით გევლოთ!

**პროფესორი რუსუდან რუხაძე,
მედიცინის ფაკულტეტის დეკანი**

პირველსემესტრელებო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრავალეროვანო სტუდენტებო, გულითადად გილოცავთ ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებას! ყველა მიღწევა, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს და რომლისთვისაც თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გამუდმებით მუშაობს, თქვენს სამსახურშია. მთავარია, მაქსიმალურად გამოიყენოთ ეს შესაძლებლობები განათლების მისაღებად, პროფესიული ზრდისთვის.

2018 წელს, პირველად საქართველოს მასშტაბით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი ფაკულტეტი – მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელიც ერთ წელიწადში მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტად გადაკეთდა. ეს, ცხადია, განპირობებული იყო უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებით დიდი დაინტერესებით, რასაც სწავლის მაღალი სტანდარტი განაპირობებს.

მაქსიმალური ზრუნვა სწავლების მაღალ ხარისხზე, ცხადია, უკვალოდ არ ქრება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის, რისი დასტურიცაა მედიცინის ინგლისურენოვან და რუსულენოვან პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობის მკვეთრი მატება.

დღესდღეობით მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტზე სწავლობს 3400-ზე მეტი დიპლომამდელი განათლების უცხოურენოვანი სტუდენტი მსოფლიოს 81 ქვეყნიდან. აქ ყველაფერი კეთდება, რომ მათ სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები, გახდნენ გლობალური კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულები, რათა სათანადოდ უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს.

მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მიზანი, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

❖ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და განხორციელება;

❖ ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებითა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებით;

❖ ფუნდამენტური, პრეკლინიკური და კლინიკური დეპარტამენტების სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული (კლინიკური, ლაბორატორიული და სხვ.) მუშაობის კოორდინაცია;

❖ ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისი შინაარსის, ორიენტაციისა და სტრუქტურის პროგრამებისა და კურიკულუმების შემუშავება, დანერგვა და განვითარება;

❖ საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან კოოპერაცია და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;

❖ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

❖ სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციებისა და გაიდლაინების შექმნის ხელშეწყობა, დამტკიცება და განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

❖ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მზადაა, მაღალი სტანდარტის სამედიცინო განათლება მისცეს ყველა სტუდენტს. ის საუკეთესო პლაცდარმია წარმატებული კარიერის შესაქმნელად.

მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი დონის სამედიცინო და სტომატოლოგიურ განათლებას და კლინიკაში პრაქტიკულ მეცადინეობებზე ორიენტირებულ სწავლებას. მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის გუნდი ზრუნავს თითოეული სტუდენტის განათლებაზე, ეხმარება მათ სოციალიზაციაში, გულთან მიაქვს მათი პრობლემები, იქნება ეს სწავლასთან დაკავშირებული თუ პირადი ხასიათის, რადგან მათ უკეთ შეძლონ გამკლავება თანამედროვეობის გამოწვევებთან და დასახული მიზნების სრულყოფა – „ტრადიციებით მომავლისაკენ“.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

**ასოცირებული პროფესორი
დავით თოფურია,
მედიცინის და სტომატოლოგიის
საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი**

საუნივერსიტეტო ცხოვრების ქრონიკა

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ტრადიციულად, ინოვაციური და წარმატებული პროექტები ხორციელდება. 2013-2014 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროგრამას ჩაეყარა საფუძველი. წარმატებით დაიწყო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან (ESOM) ერთად შემუშავდა.

პროგრამის დაგეგმვასა და იმპლემენტაციაში აქტიურად არიან ჩართულნი ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ემორის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანი სამედიცინო განათლების სფეროში, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი, „გახდი ექიმის“ კურსის ხელმძღვანელი, ონკოლოგიის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი, კლინიკური განათლების ასოცირებული დეკანი ჯოელ ფელნერი და სხვები. ისინი ხშირად სტუმრობენ საქართველოს და მუშაობენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან.

ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში, პროგრამის სპეციფიკის ადგილზე გასაცნობად და შესაბამისი მეთოდოლოგიის ასათვისებლად, მუდმივად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ემორის მედიცინის სკოლაში ვიზიტი.

სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი (MD). წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, სწავლის, კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ აშშ-ის და სხვა საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა, თუმცა, საამისოდ ისინი დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაში კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადებასა და მათ ჩაბარებას თავიდანვე ეწყობა ხელი, რადგან ეს პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწავლის პერიოდშივე ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო ლიცენზირების გამოცდების (United States Medical Licensing Examination) წარმატებით ჩაბარება სტუდენტს საშუალებას აძლევს, დიპლომისშემდგომი განათლება და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ (მათ შორის, აშშ-ში).

პროგრამას ჰყავს კურსდამთავრებულები და სტუდენტები, რომლებმაც, სწავლის პარალელურად ((1/3-ზე მეტმა), აღნიშნული გამოცდის საფეხურები წარმატებით ჩააბარეს. ეს წარმატებული შედეგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღნიშნულ სტუდენტებს, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდეგ, არჩეული სპეციალობით აშშ-ში რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებაში დაეხმარება. ამის ნათელი მაგალითია პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელეს. ჩვენმა სტუდენტებმა USMLE-ის გამოცდების ჩაბარებით და მაჩვენებლით დაამტკიცეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შესანიშნავად ამზადებს სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის წარმოუდგენელი შედეგების მისაღწევად. თსსუ და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა ამაყობს მიღწეული შედეგით!

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების სრულ ინტეგრაციას. ასეთი სახის სწავლებას აქვს სხვადასხვა სარგებელი: ერთი მხრივ, საბაზისო საგნები ისწავლება კლინიკურ დისციპლინებთან ერთად, რაც სტუდენტს აძლევს მოტივაციას ბაზისური მედიცინის შესწავლისთვის. ინტეგრირებული სწავლების ერთ-ერთი მახასიათებელია საბაზისო საგნების შესწავლისას კლინიკური შემთხვევების (პაციენტის, სიმულირებული პაციენტის და კლინიკური შემთხვევის), ე.წ. ქეისის, სახით უხვად დემონსტრირება. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე სწავლების მეთოდები: პრობლემაზე და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, ასევე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის სწავლება, შემთხვევის დემონსტრაცია ავადმყოფის/სიმულაციური ავადმყოფის მონაწილეობით და სხვადასხვა პროფილის მულტიდისციპლინური გუნდის აქტიური ჩართულობით. ასეთი სახის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი სწავლებისა და აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება, რაც კურსდამთავრებულს გამოადგება დიპლომისშემდგომ პერიოდში მთელი სიცოცხლის მანძილზე. საქართველოსთვის ინოვაციური კლინიკური სწავლების, ე.წ. კლერკშიფის, ამერიკული მოდელის დანერგვა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაში 2016-2017 სასწავლო წლიდან დაიწყო.

სტუდენტები, სწავლის პირველ ეტაპზე, ბაზისურ ბიოსამედიცინო საგნებთან ერთად, შეისწავლიან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, როგორიცაა: სოციალურ-კულტურული და სამედიცინო ანთროპოლოგია, მოდული — კაცობრიობის შემოქმედებითობა (აერთიანებს ცივილიზაციის ისტორიას, მსოფლიო ლიტერატურასა და სახვითი ხელოვნების ისტორიას), ფსიქოლოგია... გარდა ამისა, ამერიკული პროგრამის კურიკულუმი მოიცავს მეტად საინტერესო სასწავლო კურსს – „გახდი ექიმი“, რომელიც 6 წლის მანძილზე თან სდევს კურიკულუმს და სტუდენტებს სწავლების პირველივე წლიდან ამზადებს კლინიკური პრაქტიკისთვის. აღნიშნული კურსი ითვალისწინებს კლინიკურ გარემოში (თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევებისა და სიმულაციის ცენტრში, ამბულატორიებსა და საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკებში) ზოგადი საექიმო უნარ-ჩვევებისა და კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

სწავლების პროცესში აქტიურადაა ჩართული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, ე.წ. კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც პერიოდულად განიხილავს როგორც მიმდინარე, ისე პროგრამის მომავალი განვითარების საკითხებს.

„ზაფხული ემორიში“ და „ზამთარი ემორიში“ – ასე ჰქვია სამკვირიან პროგრამებს, რომელსაც თსსუ და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა სთავაზობს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებს პირველი წლის დასრულებისას. ამერიკული სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის უშუალოდ გაცნობის მიზნით, ყოველწლიურად ემორის უნივერსიტეტს პროგრამის 40-მდე სტუდენტი სტუმრობს. აღნიშნული პროგრამა წლების მანძილზე ტრადიციად იქცა.

ძალიან სასიხარულოა, რომ თსსუ-სა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას შორის დადებული ორმხრივი შეთანხმება ითვალისწინებს კლინიკური სწავლების წლებში ჩვენი სტუდენტებისთვის ემორიში კლინიკური როტაციების გავლის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ურთიერთშეთანხმება საშუალებას აძლევს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სტუდენტს, კლინიკური როტაცია გაიაროს, არა მხოლოდ ემორის უნივერსიტეტში, არამედ მის პარტნიორ უნივერსიტეტებში.

კვლევითი კომპონენტი დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლებს შორის გაფორმდა მემორანდუმი. ზემოხსენებული დაწესებულება განთავსებულია რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის ცენტრში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული თანამშრომლობით, ვოლტერ რიდის არმიის კვლევით ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული სამედიცინო განათლების და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, უპირველესად – თსსუ-ის ამერიკული პროგრამის ფარგლებში.

ჩვენი პროგრამის უდიდეს ტრადიციას „თეთრი ხალათების ცერემონია“ წარმოადგენს. სწორედ ამ პომპეზური ღონისძიებით ეგებებიან და გზას ულოცავენ ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელებს, არა მხოლოდ უნივერსიტეტისა და პროგრამის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, არამედ პროგრამის მუდმივი მხარდამჭერები, მათ შორის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან, საქართველოში ვოლტერ რიდის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და სხვა საგანგებო სტუმრები.

სასწავლო წლის დასასრულს თსსუ-ში, ტრადიციულად, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ბოლო სემესტრის სტუდენტების გამოსაშვები ცერემონია იმართება. გამოსაშვები ღონისძიებისას უმნიშვნელოვანესი როლი საგანგებო, თავის კარიერაში წარმატებულ და სამაგალითო, ყველასთვის კარგად ცნობილ სტუმარს ენიჭება, რომელიც წარმატების მისეულ საიდუმლოს კურსდამთავრებულებს უზიარებს. გამოსაშვები ღონისძიება 2019 წლიდან ტრადიციად იქცა და ის ყოველ წელს პომპეზურად აცილებს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებულებს.

საქართველო, აშშ, ინდოეთი, შრი-ლანკა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ისრაელი, ბრაზილია, სამხრეთ კორეა, – ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებიც ჩვენი პროგრამის სტუდენტები არიან.

დღეს უკვე შეგვიძლია მოგმართოთ როგორც ამ წარმატებული გუნდის ერთ-ერთ წევრს, რომელმაც დიდი შრომა ჩადო თავისი მიზნის განხორციელებისთვის. თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა საშუალებას გაძლევთ, თავად გახდეთ ზემოაღნიშნული შესაძლებლობებისა და პერსპექტივის მონაწილე. მომავალი 6 წლის განმავლობაში პროგრამა სწორი მიმართულებით სვლას გასწავლით, რომელიც აუცილებლად მიგიყვანთ დანიშნულების ადგილამდე. გილოცავთ, 2023-2024 სასწავლო წელს თქვენ შეუერთდით უძლიერეს ჯგუფს დიდი პერსპექტივით! გისურვებთ, წარმატებით გევლოთ ამ გზაზე!

**არჩილ უნდილაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი,
ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი**

საუნივერსიტეტო ცხოვრების ქრონიკა

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

ძვირფასო პირველსემესტრელებო!

გილოცავთ სტუდენტობას, უდიდეს გამარჯვებას თქვენი ცხოვრების გზაზე პროფესიული წინსვლისკენ! საამაყოა, იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, გახდე ამ დიდი ოჯახის წევრი, ჩაერთო საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი ჩვენს ქვეყანაში მაღალკვალიფიციური აკადემიური და საექიმო კადრის ზრდის ტრადიციული, პოპულარული და წარმატებული სამჭედლოა. ამის უტყუარი დასტურია ფაკულტეტის პროფესურის მაღალი პროფესიული და სამეცნიერო რეპუტაცია, სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის მსურველი ახალგაზრდების რაოდენობის განუხრელი ზრდა, კურსდამთავრებულთა მაღალი რეიტინგი, პოტენციური დამსაქმებლების დიდი პროფესიული ინტერესი და მათდამი ნდობა.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი სახით სტომატოლოგიის ფაკულტეტს კიდევ ერთი ღირსეული თაობა შეემატა. ჩვენც მზად ვართ, შესაბამისად ვუპასუხოთ თქვენს მოთხოვნებს ცოდნის შეძენასთან დაკავშირებით.

თქვენ მიერ არჩეული ფაკულტეტი გამორჩეულია საამაყო ტრადიციებით. დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაში დეკლარირებული მიზნების, ამოცანებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, პროგრამის კურიკულუმი აგებულია ე.წ. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების თანმიმდევრული, პრერეკვიზიტული ჯაჭვის სახით. ამავე დროს, სტუდენტები აკადემიური პროცესის აქტიური მონაწილენი არიან, რამეთუ, სწორედ ესაა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განმსაზღვრელი არსი.

სტომატოლოგის ჩამოსაყალიბებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კლინიკურ ბაზებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ძლიერ და გამართულ კლინიკურ ბაზებზე. სწორედ ამის დასტურია მაღალპროფესიული კადრებით დაკომპლექტებული საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკები, სადაც სტუდენტები ფანტომებზე ითვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მონაწილეობენ კლინიკური შემთხვევების განხილვაში, ესწრებიან ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ამუშავებენ რეფერატებს და პრეზენტაციებს, ჩართულნი არიან პრაქტიკულ საქმიანობაში საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებზე; აქ მათ აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიღებული ცოდნის განმტკიცების პარალელურად, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ჩაერთონ პაციენტთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, სრულყონ პაციენტთან დამოკიდებულების და კომუნიკაციის უნარები.

2009 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, პირველად სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა — OSCE, სადაც ფასდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში ათვისებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სისტემატურად ჩამოდიან პროფესორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კითხულობენ ლექციებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ წარმატებას, ჩვენ ერთ მიზანს ვემსახურებით: – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, აღჭურვილი ღრმა თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, რაც საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საწინდარია.

**ასოცირებული პროფესორი
ნანა ყიფიანი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი**

ძვირფასო პირველსემესტრელებო!

მაქვს პატივი, მოგილოცოთ დიდი წარმატება – სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე. მოგესალმებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თითოეული წევრის სახელით და გისურვებთ შემდგომ წინსვლას და წარმატებებს.

სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ წლების განმავლობაში მომზადებულმა სპეციალისტებმა და მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მათი წარმატებული საქმიანობის შედეგად, საქართველოში, პრაქტიკულად, ლიკვიდირებულია ბევრი ისეთი დაავადება, რომელიც ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის. ყველასთვის ცნობილია ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართულობით მიღწეული წარმატებების შესახებ კორონავირუსთან ბრძოლის საქმეში, რაც მსოფლიომ აღიარა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის მიზანია სათანადო კომპეტენციის ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორების მომზადება, რომელთაც, უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით, ექნებათ ჯანდაცვის სფეროში შესაბამისი ფუნქციის სათანადოდ შესრულების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის სამსახურები, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტი, მათ შორის, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტი, მათ შორის, სურსათის ეროვნული სააგენტო, სხვადასხვა პროფილის სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო-კვლევითი და სამრეწველო დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ მომსახურებასთან, მენეჯმენტთან და პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან.

ფაკულტეტზე ხორციელდება ორი საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“" და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“. საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ ხორციელდება ფრანგულ მხარესთან ერთად და სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს ორ დიპლომს: გაცემულს საქართველოს და საფრანგეთის მიერ, რაც საშუალებას მისცემს მას გააგრძელოს განათლება საფრანგეთსა და იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია ფრანგული დიპლომი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო პროგრამებზე: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, „გარემოს მედიცინა“, „ეპიდემიოლოგია“, „ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება“. იგეგმება ახალი სამაგისტრო პროგრამების ამოქმედებაც.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში და უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შეუძლია ჩაერთოს აკადემიურ და კვლევით აქტივობებში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელშიც, აკადემიურ პერსონალთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტებიც. თქვენ უნივერსიტეტის აუდიტორიებში დაგხვდებათ დიდი გამოცდილების და ერუდიციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები და აკადემიური პერსონალი, რომლებთანაც თქვენი ყოველი

შეხვედრა იქნება სასიამოვნო, სასარგებლო და ნაყოფიერი.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ მნიშვნელოვან და თვალსაჩინო წარმატებას, – სწავლის გაგრძელებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე. იმედი მაქვს, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, თითოეული თქვენგანი, როგორც ღირსეული მოქალაქე, მეცნიერი და კვალიფიციური სპეციალისტი, კუთვნილ წვლილს შეიტანს დარგისა და ქვეყნის განვითარების ფრიად მნიშვნელოვან საქმეში.

**ასოცირებული პროფესორი
მარინა ციმაკურიძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის დეკანი**

საუნივერსიტეტო ცხოვრების ქრონიკა

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

გილოცავთ, თქვენ გაიმარჯვეთ, რადგან მოხვდით ძალიან პრესტიჟული, კლასიკური უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ ტრადიციულ და დახვეწილ ფაკულტეტზე! აქ თითოეული დეპარტამენტი მრავალ ათეულ წელს ითვლის და დიდი ადამიანების სახელებს ინახავს.

ფარმაცია ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და სწრაფად განვითარებადი, მომავლის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგია. ფარმაცევტული მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

მსოფლიო ფარმაცევტული ბაზრის მოცულობა ყოველწლიურად 10-15%-ით იზრდება. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა ფარმაცევტულ კადრზე, იზრდება დასაქმებული ფარმაცევტების რიცხვი და მათი შრომის ანაზღაურებაც. ყველაზე დიდი ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი მოთხოვნა ფარმაცევტებზე არათუ მცირდება, არამედ, თითქმის 50% -ით აჭარბებს სხვა პროფესიის სპეციალისტებზე მოთხოვნას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიულ ინტეგრაციას. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითაა შედგენილი ფარმაციის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა განუყოფელია. ადამიანთა ჯანმრთელობის მსახურება ყველაზე მასშტაბურად სწორედ ფარმაციის ფაკულტეტის გავლითაა შესაძლებელი. თუ აფთიაქში იმუშავებთ, თქვენს ხელში ყოველდღიურად ასობით პაციენტი გაივლის, რომელთაც თქვენი პროფესიული რჩევა-დახმარება დასჭირდებათ; თუ წამლის ტექნოლოგები გახდებით, თქვენ მიერ დამზადებული წამალი ათასობით ადამიანს გადაარჩენს; თუ წამლის ხარისხის კონტროლის სისტემაში იმუშავებთ, ხარისხიანი და უსაფრთხო მედიკამენტებით უზრუნველყოფთ მოსახლეობას; თუ ნარკოლოგიურ და ტოქსიკოლოგიურ ანალიზს აირჩევთ, თქვენი დასკვნები ჯანსაღი თაობის აღზრდას და სამართლიანი განაჩენის გამოტანას შეუწყობს ხელს. არჩევანი, პრაქტიკული და სამეცნიერო წინსვლის პერსპექტივა, ძალიან დიდია.

დღეს ჩვენთან ხართ და ეს ბედნიერებაა. დაამტკიცეთ, რომ გამარჯვებულები ხართ! შეეცადეთ, შეინარჩუნოთ მოპოვებული გამარჯვება და ბრძოლის უნარი.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „დიდურ“ ცხოვრებაში! სკოლაში უსასრულოდ იწელება დრო. უნივერსიტეტში კი თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებ, რომ უკვე კურსდამთავრებული ხარ. დღეიდან თქვენ გვერდით მსხდომნი, თქვენი მომავალი კოლეგები და, შესაძლოა, თქვენი ცხოვრების მეგზურებიც არიან, თქვენი მასწავლებლები – თქვენი უფროსი კოლეგები, მეგობრები, გზის მაჩვენებლები. აიმაღლეთ მოტივაცია! შეხედეთ ყველაფერს მომავლიდან, დაამყარეთ სწორი კავშირები, მოახდინეთ შთაბეჭდილება, ისწავლეთ და განვითარდით. ბევრრამ, რაც დღეს უმნიშვნელოდ და უინტერესოდ მოგეჩვენებათ, მომავალში შეიძლება ძალიან გამოგადგეთ. გაიზიარეთ უფროსკურსელთა გამოცდილება, დაალაგეთ პრიორიტეტები და ყველაფერს მოასწრებთ.

ახლა თქვენ გაქვთ ყველაფრის კეთების საუკეთესო პერიოდი. გამოიჩინეთ ინიციატივა! დაესწარით თქვენთვის საინტერესო ღონისძიებებს, ღია ლექციებს, მიიღეთ მონაწილეობა კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, ჩაერთეთ სტუდენტურ ორგანიზაციებში, სახელოვნებო წრეებში. ეძიეთ საკუთარი თავი, დაისახეთ მიზანი და აუცილებლად იპოვით გზას.

ჩვენ კი თქვენ გვერდით გვიგულეთ – პრობლემების მოგვარებაში ყოველთვის დაგეხმარებით, თუმცა, სწავლაში შეღავათს ვერ გაგიწევთ და ისევ თქვენს საკეთილდღეოდ!

მინდა გზა დაგილოცოთ. წინ საინტერესო სტუდენტური წლები და, რაც მთავარია, წარმატებული ცხოვრება გელით!

ასოცირებული პროფესორი
თამარ ჩიკვილაძე,
ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი

ძვირფასო პირველსემესტრელებო! მაქვს პატივი მოგილოცოთ თქვენი ცხოვრების ახალი და, ამავე დროს, განსაკუთრებული ეტაპის დაწყება. თქვენ აირჩიეთ უმნიშვნელოვანესი, რთული და დინამიკური სამედიცინო დარგი, რომლის მიზანია ორგანიზმის ნებისმიერი სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული ფუნქციური შეზღუდვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო მართვა ფუნქციური პოტენციალისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დღეს მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ჯანდაცვის სფეროს და ამ სფეროში უმაღლესი განათლების სისტემის მომდევნო განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი სწრაფი ტემპით განვითარებადი ფაკულტეტია. თანამედროვე სამედიცინო რეაბილიტაცია ეფექტური ჯანდაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ხოლო სარეაბილიტაციო მართვა, უახლესი მიდგომების გამოყენებით, მოითხოვს მაღალი ხარისხის პროფესიონალიზმს, ცოდნის მუდმივ გაღრმავებას და განახლებას. თქვენ შეისწავლით რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, დაეუფლებით თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი დაგეხმარებათ თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზებაში, უახლესი ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და გამოცდილების შეძენაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია პროფესიული კარიერის განმავლობაში, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებით, რთული კლინიკური პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტის პროცესში.

თანამედროვე ჯანდაცვა სულ უფრო მეტად ემყარება მედიცინის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა თანამშრომლობას და გუნდურ მუშაობას უსაფრთხო მართვის და საუკეთესო შედეგის მისაღწევად. თქვენ დაეუფლებით გუნდური მუშაობის პრინციპებს, გახდებით კომპეტენტურ და კრეატიულ პროფესიონალთა მულტიდისციპლინური გუნდის წევრი და იმოქმედებთ დინამიკურ სამედიცინო გარემოში. თქვენ შეიძენთ სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებს და ჩაერთვებით სტუდენტური სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში. ამასთანავე, მოგეცემათ საშუალება ჩაერთოთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და ეზიაროთ დარგის უახლეს მიღწევებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ფაკულტეტის გაძლიერებაზე და მისი კლინიკური ბაზების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვაზე. მომავალ პროფესიას დაეუფლებით უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტში, თსსუ-ის საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი აკადემიური პროცესის სრულყოფილად განხორციელებისათვის, ისევე, როგორც ნაყოფიერი სამეცნიერო და კლინიკური მუშაობისთვის. მათ შორის, აღსანიშნავია კენ ვოლკერის სახელობის საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკა, რომელიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობით, ინფრასტრუქტურული თუ ადამიანური რესურსით, სრულიად უნიკალური და მოწინავეა საქართველოში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტს გააჩნია მჭიდრო კავშირი ევროპის და აშშ-ის უნივერსიტეტებთან. ჩვენს ფაკულტეტზე სისტემატურ ხასიათს ატარებს ამერიკელი პროფესორების ვიზიტები და ლექცია-სემინარები, ისევე, როგორც, ერთობლივი ტელეხიდები და კონფერენციები. ამასთანავე, ამერიკელი პროფესორები მოწვეულნი და აქტიურად ჩართულნი არიან უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის აკადემიურ პროცესში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობას, კერძოდ, ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის პროგრამის წამყვანი აკადემიური პერსონალის ჩართულობასა და კოლაბორაციას.

მნიშვნელოვანია ფაკულტეტის სტუდენტთა მზარდი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ERASMUS +-ის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო და ფაკულტეტის კლინიკური დეპარტამენტების მიერ შეთავაზებულ სტაჟირებებში და აქტიური ურთიერთობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, ფიზიკური თერაპიის მსოფლიო კონფედერაციასთან.

მჯერა, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, გაძლიერდება თქვენი თანადგომა და პასუხისმგებლობის გრძნობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართებით. დარწმუნებული ვარ, თქვენ შორის იქნება ბევრი წარმატებული რეაბილიტოლოგი, რაც მტკიცე საფუძველს შეუქმნის დარგის განვითარებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს!

პროფესორი ლელა მასხულია,
ფიზიკური მედიცინის და
რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი

საექთნო და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების პირველსემესტრელების არჩევანი უზრუნველყოფს საქართველოში შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალზე არსებული მკვეთრი დეფიციტის შევსებას. თქვენი მომავალი პროფესიის გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი სამედიცინო სერვისის განხორციელება. საექიმო საქმიანობა წარმოუდგენელია კომპეტენტური ექთნის გარეშე. საუნივერსიტეტო განათლება კი გაძლევთ საშუალებას, იყოთ წარმატებულნი და კონკურენტუნარიანნი. გლობალური ტენდენციიდან გამომდინარე, თანამედროვე საექთნო საქმე მეცნიერება და ხელოვნებაა, ის მოითხოვს კვლევაზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოებას; ჰუმანიტარული, ფიზიკური, ბიოლოგიური, ქცევითი მეცნიერებების მომცველ სპეციფიკურ საექთნო ცოდნას და უნარ-ჩვევებს; მენეჯმენტის, ლიდერობის და პედაგოგიკის ბაზისურ ელემენტებს. სამედიცინო პერსონალზე, განსაკუთრებით კი ექთნებზე, მოთხოვნა მუდმივად გადააჭარბებს მიწოდებას, რაც განპირობებულია სამედიცინო სერვისის მრავალფეროვნებით, ამბულატორიული მოვლის საჭიროების გაზრდით და შინმოვლის სერვისის განვითარებით. ყოველივე ეს თქვენს პროფესიას ხდის მოთხოვნადს და პერსპექტიულს. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართულ-ავსტრიული საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა უნიკალურ შანსს გაძლევთ ამ პროგრამის სტუდენტებს, გერმანული ენის ცოდნის შემთხვევაში, საზაფხულო სტაჟირება გაიაროთ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

საექთნო და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და სარეაბილიტაციო დაწესებულებებში. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში.

თქვენ სწორი არჩევანი გააკეთეთ. გისურვებთ პროფესიულ ზრდას და წინსვლას.

ასისტენტ-პროფესორი მედეა ჯღარკავა,
საექთნო და სამეანო საქმის
საბაკალავრო პროგრამების
კოორდინატორი

ხარისხიანი ცხოვრების ქიმია

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

ყველას, განსაკუთრებით კი პირველსემესტრელებს, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს გისურვებთ სწავლასა და საქმიანობაში. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი მუდმივად მზად არის, თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ის სიკეთე, რაც საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას სდევს თან.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რომლის მიზანია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას გლობალური მასშტაბით.

სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს განვითარების ოც წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ინგლისურ ენაზე განათლებას იღებენ: 1996 წლიდან – მედიცინის ფაკულტეტზე; 2008 წლიდან – ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე; 2013 წლიდან – ფარმაციის ფაკულტეტზე, 2017 წლიდან – სტომატოლოგიის ფაკულტეტზე. 2012 წლიდან მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე უცხოეთის მოქალაქეებისთვის დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამები ამოქმედდა.

ამჟამად თსსუ-ში 3400-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 81 ქვეყნიდან, მათ შორის: ინდოეთიდან, შრი-ლანკადან, თურქეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან, ნიგერიიდან, ერაყიდან, ავსტრალიიდან, ცენტრალური ამერიკიდან და სხვ.

2012 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც შემუშავდა გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (UniMan) ერთად. პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა ორმაგი დიპლომი – ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს აფართოებს და მიმზიდველს ხდის.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

2018 წელს თსსუ-ში გაიხსნა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელსაც სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი პროგრამები შეუერთდა, რის გამოც მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი გახდა.

ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთ ავსტრიის საგანმანათლებლო ცენტრ AZW-სა (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს, ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც მათ საშუალებას აძლევს სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

ამჟამად თსსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON და სხვ.).

ზემოაღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში განათლების დიპლომამდელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორიებში. თსსუ-ის კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვ.) ეძლევათ შესაძლებლობა დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში, 2012 წლიდან, სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორების 600-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში პროფესორებმა წაიკითხეს თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში, ჩაატარეს კონსულტაციები და საქველმოქმედო ოპერაციები თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

საინტერესო და დინამიკური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესურა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტუქტურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და მზად ვართ, თქვენ გვერდით ვიყოთ განათლების მიღების ძალიან საპასუხისმგებლო გზაზე, ყველაფერი გავაკეთოთ თითოეული სტუდენტის წარმატებულ პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის.

ასოცირებული პროფესორი
თინათინ კილასონია,
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი

სტუდენტებისთვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყველა სტრუქტურა მოტივირებულია, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს სტუდენტისთვის ოპტიმალური პირბების შესაქმნელად. ამიტომაცაა, ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაოები, კერძოდ:

✓დასრულდა თსსუ-ის ყველაზე ძველი - მეორე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაციის პროცესი და აქ დღეიდან უკვე განახლებულ კორპუსში დაიწყება სასწავლო პროცესი;

✓თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს დიდი ისტორიის მქონე „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი“, რომელსაც ყოველთვის ჰყავდა უამრავი დამთვალიერებელი. დროთა განმავლობაში, ცხადია, ყველა ექსპონატსა და პრეპარატს სჭირდება შესაბამისი მოვლა-პატრონობა, განახლება, აღდგენა. ეს ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოები ახლახანს ჩატარდა და მალე „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი“ გაიხსნება მეორე სასწავლო კორპუსში;

✓პირველი სასწავლო კორპუსის ვესტიბულზე დაშენდა სტუდენტური კაფეტერია, ამჟამად მიმდინარეობს კაფეტერიის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით;

✓2022 წელს თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე გარემონტდა სადისერტაციო დარბაზი. ამავე კორპუსის ვესტიბულზე დაშენდა და სათანადოდ აღიჭურვა ერთი სართული, სადაც განთავსდა რეკრეაციული ზონა კვების ობიექტით, აგრეთვე, საკონფერენციო და საბჭოების დარბაზები. ასევე, განხორციელდა დაშენება ამავე კორპუსის უკანა ფლიგელზე;

✓მესამე სასწავლო კორპუსში ფუნქციობს 210 სტუდენტზე გათვლილი საგამოცდო ცენტრი; აქვეა განლაგებული თეატრალური დარბაზი 420 მაყურებელზე – მოძრავი სცენით. ასევე, გაიხსნა ახალი, თეატრ „ჰიგიას“ მცირე სცენა; ფუნქციობს სპორტული ცენტრი ძალოსნობისა და კალათბურთის დარბაზებით;

✓განხორციელდა მეოთხე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია დაშენებით;

✓ახალ, მეხუთე სასწავლო კორპუსში სპეციალურად გარემონტდა სივრცე თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკისთვის; კლინიკა აღიჭურვა უახლესი აპარატურით და ამჟამად განაგრძობს ფუნქციობას ახალ ლოკაციაზე;

✓განხორციელდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის სრული რეაბილიტაცია და თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვა. პერმანენტულად მიმდინარეობს მისი მოდერნიზაცია. დასრულდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კორპუსზე მიშენების სამუშაოები;

✓ამავე კლინიკაში, ახალ, გარემონტებულ შენობაში ფუნქციობა დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიამ;

✓დასრულდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მეორე კორპუსის მშენებლობა, რომლის პროექტი მომზადდა ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით;

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პროექტების გათვალისწინებით, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის საწოლფონდი 22%-ით, ხოლო თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის საწოლფონდი 26%-ით გაიზარდა;

✓2020 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკების რიცხვს შეემატა შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აღნიშნული კლინიკის წილის 40%-ის მფლობელია.

✓გაფორმდა ხელშეკრულება ახალი, მრავალფუნქციური შენობის (დაახლოებით, 12000 კვ.მ. ფართობის) ასაგებად. შენობა განთავსდება ზ. ანჯაფარიძის (ყოფილი სანდრო ეულის) ქუჩაზე. აღნიშნულ შენობაში განთავსდება უნივერსიტეტის ფუნქციობისათვის აუცილებელი სივრცეები: ამბულატორია, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, აფთიაქი, კლინიკური უნარებისა და მულტიმედიური სიმულაციის სასწავლო და საგამოცდო ცენტრი, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისთვის (OSCE-ის) 2 სივრცე – თითოეული 20 სადგურზე, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებისთვის; საგამოცდო ცენტრი და სივრცე აკადემიური საქმიანობისათვის;

✓თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის კლინიკის შესყიდვის მიზნით, გააფორმა ხელშეკრულება. მომავალში, აქ, საკუთარ ბაზაზე, განთავსდება ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტები;

✓გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის შესყიდვასთან დაკავშირებით;

✓თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო მიზნებისთვის შეიძინა 50 ჰა-ზე მეტი მიწის ნაკვეთი სართიჭალასა და თელეთში, სადაც უკვე მიღებულია პირველი მოსავალი და, შესაბამისად, ამ მიღებული ნედლეულით, იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე წარმოებული პროდუქცია გავა ფარმაცევტულ ბაზარზე;

✓ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშიც: აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს და თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალში. კვლევით ინსტიტუტებში წარმატებით მიმდინარეობს თსსუ-ის დოქტორანტების, მაგისტრების და ბაკალავრების პროფესიული პრაქტიკული სწავლება და სტაჟირება. ინსტიტუტებში მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და გრანტების სახით;

✓კეთილმოეწყო თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, მოეწყო „ბედნიერების სკვერი“. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია მონუმენტები: „ბედნიერება“, „ღირსება“, „მადლიერება“, „თავისუფალი მოქალაქე“, „ბედნიერების გალაქტიკა“, „აი, მიზანი“ „სიყვარულის გალაქტიკა“ და „სიხარულის ემოცია“, რომლებიც თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, პროფესორმა არსენ გვენეტაძემ უსახსოვრა თავის Alma-Mater-ს. ქანდაკების ავტორი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ცნობილი მოქანდაკე, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ლევან ვარდოსანიძეა;

✓სასწავლო კორპუსების წინ მოეწყო „რექტორთა ალეა“.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თავისი მისიის შესაბამისად, სრულად იზიარებს ქალაქის გამწვანების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების თვალსაზრისით არსებულ პასუხისმგებლობას. კეთილმოეწყო თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ადმინისტრაციული კორპუსის, მეორე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიები (დაახლოებით, 12000 კვ.მ. ფართობი), ავტოსადგომებით, რეკრეაციული ზონებით და გამწვანებით.

გილოცავთ ახალ 2023-2024 სასწავლო წელს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს კულტურისა და სპორტის ცენტრები, სადაც საშუალება მოგეცემათ სრულად გამოავლინოთ შემოქმედებითი ნიჭი და სპორტული შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით

კულტურის ცენტრთან ფუნქციობს:

სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი – ქორეოგრაფიული ჯგუფი, მომღერალ ვაჟთა გუნდი, ხალხურ საკრავთა ჯგუფი;

გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „დეკა“;

დრამატული თეატრი „ჰიგია“;

თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა“;

კლასიკური მუსიკის ჯგუფი;

ვოკალური ანსამბლი.

სპორტის ცენტრთან ფუნქციობს შემდეგი სექციები:

კალათბურთის;

მინი-ფეხბურთის;

ფუტსალის;

მაგიდის ჩოგბურთის;

ფრენბურთის (გოგონები, ვაჟები);

ჭადრაკის;

ძალისმიერი სამჭიდის, მკლავჭიდის;

ბადმინტონის;

რაგბის.

ამასთან, სტუდენტების აქტიური დასვენებისა და სპორტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საკმაოდ ვრცელი (500მ^2) სატრენაჟორო დარბაზი.

თეატრის მოყვარულებს „ჰიგია“ გელით

დაინტერესებულმა სტუდენტებმა მიმართეთ:

თსსუ-ის კულტურის ცენტრს:
მე-3 სასწავლო კორპუსი, მე-3 სართული;
ტელ: 2 54 25 36 ; 599 57 92 69; ელ. ფოსტა: B.Matchavariani@tsmu.edu

თსსუ-ის სპორტის ცენტრს:
მე-3 სასწავლო კორპუსი, I სართული;
ტელ: 599 89 08 00; ელ.ფოსტა: G.Shubitidze@tsmu.edu

სპორტი და ხელოვნება ლენსში



„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu